ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 27 (9967) • 23 ivlisi • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

# ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## ვანო მერაბიშვილის ვიზიტი გურიაში

გაზეთი „ალიონი“

შაბათს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი გურიას სტუმრობდა. მან სამივე მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებთან დახურული შეხვედრები გამართა. შეხვედრის თემებზე ოფიციალურად არ საუბრობენ.

ოზურგეთში შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციის სააქტო დარბაზში გაიმართა.

—ეს იყო თათბირი, მუშა შეხვედრა. მე ამ შეხვედრას ვესწრებოდი. იყვნენ საჯარო მოხელეები —ამ კომენტარით შემოიფარგლა სატელეფონო საუბრისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ვაშაყმაძე.

არაოფიციალური ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის მიერ გამართული შეხვედრის თემა საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება იყო. ვანო მერაბიშვილი ხალხს არ შეხვედრია.

## დავით გამყრელიძემ გურიაში „ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა.

გაზეთი „ალიონი“

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გურიის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა. ოზურგეთის რაიონში „მემარჯვენეებმა“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან კალანდაძე წარადგინეს.

—ლევანი არის „ახალი მემარჯვენეების“ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი, პარტიის ეკონომიკური და სოფლის პროგრამის ერთ-ერთი ავტორი. არის პარტიის მთავარი კომიტეტის და ლიდერთა საბჭოს წევრი. მისთვის გურია მშობლიური მხარეა. წინასაარჩევნო კომპანიის ფარგლებში მოვლილი აქვს და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართული აქვს თითქმის ყველა სოფელში. აქედან გამომდინარე, ლევანისთვის ოზურგეთი და სოფლის პრობლემატიკა უცხო არ არის და იმედი მაქვს, რომ მისი ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და რაც მთავარია, გამოცდილება, შესაბამისად იქნება შეფასებული ოზურგეთელი ამომრჩეველების მიერ— განაცხადა **დავით გამყრელიძემ.**

ჩოხატაურის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად გელა ლომინეიშვილი დაასახელეს, ხოლო ლანჩხუთში — ბადრი გვარჯალაძე.

**ლევან კალანდაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქვეყნის განვითარება თითოეული ოჯახიდან, თითოეული ადამიანიდან უნდა დავიწყოთ, ხოლო პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **მანანა ნაჭყებიამ** აღნიშნა, რომ პარლამენტში არ ისმის მაჟორიტარი დეპუტატების გამოსვლა. სოფელში ადამიანები გაწბილებული არიან ხელისუფლების და მაჟორიტარი დეპუტატების უყურადღებობით.

## ალეკო მამეშვილმა კულტურის ცენტრში შეხვედრა გამართა

საკრებულოს თავმჯდომარე **ალეკო მამეშვილმა** კულტურის ცენტრში შეხვედრა გამართა. მამეშვილი სერთიფიცირებული ფოლკლორული ანსამბლების წარმომადგენლებს შეხვდა და კულტურის სამინისტროს „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში მიღწეული წარმატებები მიულოცა. 16 ივლისს კულტურის სამინისტროში რეგიონების ფოლკლორულ ანსამბლებს სერთიფიკატები გადაეცათ. რეგიონებისა და თბილისის ფოლკლორული კოლექტივების დათვალიერება 2011 წლის 2 ოქტომბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 4 ივნისს დასრულდა. სერთიფიცირებაში მონაწილეობა 155 ანსამბლმა მიიღო აქედან სერთიფიკატი 74 ფოლკლორულ კოლექტივს მიენიჭა. სერთიფიკატი ოზურგეთის ექვსმა ანსამბლმა მიიღო და ამ მაჩვენებლით მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. სერთიფიცირების მიზნებია ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებითი დონის შესწავლა, ანსამბლების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და საზოგადოებისთვის ქართული ფოლკლორის

## ქ. ქუთაისში, სახვითი ხელოვნების გალერეაში მხატვარ-გრაფიკოსის, ავთანდილ თავართქილაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო.

ნუგზარ ასათიანი

დავით კაკაბაძის სახელობის გალერეა სახვითი ხელოვნების მძლავრი კერაა საქართველოში და აქ გამოფენის მოწყობა დიდი პატივია ნებისმიერი რანგის მხატვრისთვის. აქ მუდმივ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანიშვილის, დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ავთო ვარაზის და სხვა ქართველი კლასიკოსის და თანამედროვე მხატვრების ცნობილი ტილოები. ბუნებრივია, ეს გალერეა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს უცხოელებშიც.

ქ. ქუთაისში ავთანდილ თავართქილაძის გამოფენა პროექტის „ქუთაისი-ოზურგეთი, კულტურული თანამშრომლობა,“—ფარგლებში ჩატარდა და მას წინ უძღვოდა ქუთაისელთა გამოფენა ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ—სურათების გალერეაში.

ქუთაისელებმა სული და გული ჩადეს იმაში, რომ გამოფენა მაღალ დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი. ავთანდილ თავართქილაძემ ქუთაისში ბოლო 20 წელიწადში შესრულებული 83 ნამუშევარი წარადგინა. გახსნის ცერემონიალზე დასაწრებად დამთვალიერებლები ქ. ქუთაისში ჩავიდნენ თბილისიდან, ოზურგეთიდან, სხვა ქალაქებიდან. ბუნებრივია აქ წარმოდგენილი იყო ქუთათურებიც.

გამოფენა გახსნა სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნე **ელისო ჩოგოვაძემ.**

—შარშან ჩვენ ქ. ოზურგეთში გვქონდა თეატრალური დეკორაციების მხატვრების საინტერესო გამოფენა, რომლის საპასუხო ვიზიტი მხატვარ-გრაფიკოსის ავთანდილ თავართქილაძის გამოფენაა ქუთაისში. მისი ნამუშევრები საინტერესოა ჟანრობრივად და სტილისტურად. ფაქტიურად აქ წარმოდგენილია მისი 2 ათეულ წელზე მეტი ხნის შემოქმედება.

ავთანდილი გარდა მხატვრობისა ხელმძღვანელობს სამხატვრო გალერეას, კულტურის ფონდს, არის სამხატვრო სკოლის პედაგოგი და ახალგაზრდებს ასწავლის უძველეს ქართულ საბრძოლო ხელოვნებას — „ხრიდოლს.“

მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენები იყო ოზურგეთში, ბათუმში, ქუთაისში, ხოლო ჯგუფურ გამოფენებში იგი მონაწილეობდა ქ. თბილისში, ფოთში, ქ. სტამბულში, ანკარაში, სამსუნში...

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **გოგი თუმანიშვილი,** მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მოქანდაკე **გია კიკვაძე**, მწერალი **გიზო თავაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი **მაია თანდილაშვილი,** გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია**, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ხვადაგიანი.**

ავთანდილ თავართქილაძის შემოქმედება მხატვარმა **გია ბულაძემ** ასე შეაფასა:—ეს არის ოცნების ტიპის რაღაც უცნაური მოვლენა. აქ გრაფიკა გაფართოებულია, რაც ნიშნავს საერთაშორისო მასშტაბის უდიდეს კულტურას და ხელოვნებას. მის შემოქმედებაში არის სამარადჟამისო ნაღველი, ეძებს მარადიულ წარმავლობას ამა სოფლისა. ყველა პეიზაჟი სუფთაა, აქ არის ქრისტიანული სული მხატვრობაში, ეს არ უნდა დაიკარგოს...

გამოფენა ქ. ქუთაისში ორ კვირას გასტანს.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 23 ივლისი ორშაბათი | 24 ივლისი სამშაბათი | 25 ივლისი ოთხშაბათი | 26 ივლისი ხუთშაბათი | 27 ივლისი პარასკევი | 28 ივლისი შაბათი | 29 ივლისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +25+32 | მზე +26+34 | მზე +23+33 | მზე, ღრუბელი +22+31 | მზე, ღრუბელი +23+31 | მზე, ღრუბელი +24+32 | წვიმა +24+32 |

# „ახალმა მემარჯვენეებმა“ აქცია, „არა მონოპოლიებს!“ გამართეს

შაბათს, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დასახელების შემდეგ დავით გამყრელიძემ, მანანა ნაჭყებიამ, ლევან კალანდაძემ, გელა ლომინეიშვილმა, ბადრი გვარჯალაძემ „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან ერთად ოზურგეთის ქუჩებში აქცია გამართეს „არა მონოპოლიებს!“

-დღეს ბიზნესის თითქმის ყველა სფერო მონოპოლიზებულია, ამიტომ ქვეყანაში წამალი, საწვავი, პროდუქტები კატასტროფულად ძვირია. მონოპოლიები გვიძვირებენ ცხოვრებას, ხელს უშლიან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ტოტალურ უმუშევრობას. დღევანდელი ხელისუფლება არათუ არ ცდილობს მონოპოლიების მოსპობას, არამედ პირიქით, თავად გვევლინება ამ მონოპოლიების შემომქმედად.

ჩვენ, „ახალი მემარჯვენეები“ დავამარცხებთ მონოპოლიებს, რითაც მოგებული დარჩება ხალხი და შვებას იგრძნობს თითოეული ოჯახი. –განაცხადა ხალხთან შეხვედრისას გამყრელიძემ.

# ჩვენი ქალაქის ქუჩები – 2...

**თემურ ბაქანიძე**

გაზეთ ალიონში 9 ივლის გამოქვეყნებულ სტატიას ქალაქის დასუფთავების სამსახურის შესახებ „ჩვენი ქალაქის ქუჩები“, გამოხმაურება ქონდა ამავე სამსახურის შეფისგან, ბატონი ვოვა სალუქვაძისგან, რომელიც ქალბატონ ლენა ქადეიშვილთან ერთად რედაქციაში გვესტუმრა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზის წევრი ბატონი კახა ვასაძე.

ბატონი ვოვა არ ეთანხმებოდა სტატიაში დაბეჭდილ ზოგიერთ პუნქტს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ შეხვედრამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა და არ იქნება გადაჭარბებით თქმული, თუ ვიტყოდი, რომ ეს შეხვედრა შედეგიანიც დარჩა. როცა ბატონი ვოვა დარწმუნდა, რომ „ალიონის“ ჟურნალისტები არა ვართ ზოგიერთი გაზეთისათვის მოდად გადაქცეული „ჩასაფრებული ჟურნალისტების“ პოლიტიკის გამტარებლები და მოისმინა, რომ მართლაც გული შეგვტკივა იმ თემაზე, რაზეც სტატია გვქონდა დაწერილი და ჩვენი მოსაზრებებიც გავუზიარეთ, თუ როგორი გზით შეეძლო მოესინჯა ქალაქის დასუფთავების სამსახურის ხარისხიანობის ამაღლება, მეგობრულ საუბარში მოგვიყვა იმ დიდი შრომის-პატარა ნაწილის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებენ ჩვენს ქალაქში.

ბატონი ვოვა დაეთანხმა ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ქალაქში შემოვიღოთ დაჯარიმების სანქციები ქუჩების დანაგვიანებისთვის, თორემ მათ შრომას რამოდენიმე „ვიგინდარისა“ და არაკეთილსინდისიერი მოქალაქის გამო, ფასი ეკარგება.

ქალბატონმა ლენა ქადეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქალაქეთა დაჯარიმება, არ შედის დასუფთავების სამსახურის კომპეტენციაში და ეს არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის გადასაწყვეტი.(მათაც მხოლოდ იმის გადაწყვეტა შეუძლიათ, რომ ეს მოთხოვნა გააგზავნონ იმ ინსტანციებში, სადაც შეუძლიათ შესაბამის ორგანოებს მისცენ უფლებამოსილება დაჯარიმების შემოღების შესახებ. ბატონი კახა ვასაძეც დაეთანხმა ჩვენს მოსაზრებას დაჯარიმებების შესახებ და დაგვპირდა, ამ საკითხის გატანას დარბაზის სხდომაზე უახლოეს პერიოდში.

დასუფთავების სამსახურის შეფმა აღნიშნა, რომ ზაფხულის პერიოდი არის მათთვის განსაკუთრებით ძნელი, როცა შეკვეთილი-ურეკის ზღვის სანაპირო ზოლი, ყოველდღე დასასუფთავებელია და დილის საათებში მუშახელის დიდი ძალები იქ არის გადასროლილი და ამ დროისთვის ძალიან ჭირდება მას ყოველი მოქალაქის თვითშეგნება, არ დაანაგვიანონ ქალაქის ქუჩები და ამით დაეხმარონ მათ.

შეიძლება ზედმეტად მკაცრი იყოს ჩემი სიტყვები, მაგრამ მე პირადად არ მაქვს ამის იმედი. მე ვიცი, როგორი ძნელი იქნება ზოგიერთისთვის 10 და 20 ლარიანი ჯარიმის გადახდა, მაგრამ ეს აუცილებლობამ მოითხოვა – უფრო ძნელია იმის ყურება, თუ როგორ ემეტება ბევრს ჩვენი ქალაქის ქუჩები სანაგვედ გადააქციოს.

ნამდვილად მეგობრულსა და შედეგიანს დავარქმევდი ჩვენს შეხვედრას. ვინც ამ შეხვედრას ვესწრებოდით, ყველა დავეთანხმეთ წინადადებას, რომ ჯარიმების შემოღების გარეშე, ვერ მოვაღწევთ ქალაქში იდეალურ სისუფთავეს.

დასუფთავების სამსახურს აქვს ცხელი ხაზი, რომლითაც შეუძლია, ისარგებლოს ყველა მოქალაქემ და დახმარებისთვის მიმართოს ზემოთხსენებულ სამსახურს. თუ ეს დახმარება შედის მათ საქმიანობაში, ისინი დაუყოვნებლივ ზომებს ღებულობენ პრობლემების აღმოსაფხვრელად. ბატონმა ვოვამ ისიც აღნიშნა, რომ ამავე ტელეფონით ყველას შეუძლია შესთავაზოს მათ სამსახურს თავიანთი მოსაზრებები იმ თემაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქში სისუფთავის გაუმჯობესებას და დაეხმარებათ მათ ამ დარგის წინსვლაში – ქალაქის წინსვლაში...

თხოვნით მივმართავთ საკრებულოს დარბაზს, როდესაც დაიწყება მსჯელობა ამ თემაზე, გაითვალისწინონ, რომ ეს არის ყველა შეგნებული ოზურგეთელის თხოვნაც და მუდარაც, შემოიღონ საჯარიმო სანქციები, რომელიც აუცილებლობამ ისე მოითხოვა, როგორც დაჯარიმებები უღვედო მძღოლებისათვის და იგივე შედეგს გამოიღებს. თუ მილიონამდე მძღოლი „შევაჩვიეთ“ წესრიგს, არა მგონია გაგვიჭირდეს ათეული -ასეული ადამიანის მიჩვევა რიდითა და სიყვარულით მოექცნენ ჩვენს ქუჩებსა და არა „პოვებდნენ“ ამავე ქუჩებში უადგილო ტუალეტებსა და ნაგვის საყრელებს.

# ვუღლავთ!



*ნოე ჯ. ბერიკაშვილის ნაჯაფარი ცოლის ლიანა ეკალაძისა იზიარებს ნაღველი და ცოლის ჰელიოგენური ყოლიეკტივი ულოცავს ნოეს ცოლის ნაადამიანევი ვლადიმერ ლომჯარიას, ამბობენ მეამოლოქიმეცნიერის ლაბორატორიაში 80 წლისთავს და ოცდაერთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.*

# გვჭირდება, თუ არა ოზურგეთში ყოველდღიური ნოტარიუსი?..

**თემურ ბაქანიძე**

კომუნიზმის დროიდან მოყოლებული, ჩვენი ქალაქი მუდამ განიცდიდა ნოტარიული კანტორის მომსახურების მწვავე დეფიციტს...იყო გაუთავებელი რიგები, იყო ლოდინი დღეობით, კვირეობით, თვეობით...მოხდა გადატრიალებები, მოხდა ომები...შეიცვალა ყველა და ყველაფერი - დიდი როლი ითამაშა ტექნიკის განვითარებამ ნოტარიულ მომსახურეობაზე-უსაშველოდ დიდი ზომის ჟურნალი და ავტოკალამი შეიცვალა კომპიუტერული ტექნიკით-დაჩქარდა მომსახურების დრო და ამაღლდა ხარისხი, მაგრამ ნოტარიუსი ქალაქს მაინც აკლდა-მაინც განვიცდიდით მის უკმარობას...

„იყო და არა იყო რა“-ს, არა იყოს, გათენდა ერთი მშვენიერი დღე და ჰოი საოცრებავ-ყუმბარასავით გავარდა ხმა იმის შესახებ, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა ქალაქ ოზურგეთს ნოტარიუსის კვირაში ერთდღიანი მომსახურებაც დააკმაყოფილებს (არ მივაქციოთ ამ ეტაპზე ყურადღება იმას, რომ ამ ერთდღიანი მომსახურებისთვის, კადრების „შემოზიდვა“ დაგვჭირდა სხვა რაიონებიდან-ადგილზე ვერ მოვიპოვეთ-(ამ ეტაპზე არ მივაქციოთ ყურადღება!!!))...

გვჭირდება, თუ არა ნოტარიუსის ყოველდღიური მომსახურება ქალაქში-რაიონში? ამ კითხვით მივმართე ჩვენი ქალაქის ბევრ მოქალაქეს და ყველას აზრი ერთია:

**აუცილებლად გვჭირდება ! ! !**
**ჰაერივით გვჭირდება ! ! !**

ასე თვლის ბატონი კახა ვასაძე-სამხატვრო სკოლის დირექტორი...

იგივე გვიპასუხა შ.პ.ს „მაია“-ს დირექტორმაქ, ბატონმა ვლადიმერ ლომჯარიამ. მისი სიტყვებით, „არა კომფორტულ მდგომარეობაშია ქალაქი ამ პრობლემის გამო“.

იგივეს ფიქრობს ბატონი ნუგზარ ასათიანიც...

იგივეს ფიქრობს იუსტიციის სახლის მენეჯერი, ბატონი ივანე მენაბდე...მასთან მოკლე საუბრისას, აღნიშნა, რომ „აუცილებელია ოზურგეთისთვის ნოტარიუსის ყოველდღიური მომსახურება“...

თუკი ეს მოხდება, ვფიქრობ, რომ ბატონი ივანე იმაზეც იზრუნებს, რომ ნოტარიუსს იმ ულამაზეს და უმშვენიერეს შენაბაში მისცეს ადგილი, რომლის შეფიც თვითონაა...

იგივეს ვფიქრობ მეც და ჩვენი ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა.

გადაუწყვეტელი და ნოტერიუსიდან დასამოწმებელი საქმეები თავს იყრის და თუ დროულად არ მივხედავთ ამ პრობლემას, ხალხი იძულებული გახდება სხვა რაიონებისა და ქალაქების ნოტარიუსის იმედად იყოს...ერთი მხარეა, რომ მოსახლეობა მართლაც გაწამებულია ამ პრობლემის გამო და არის მეორე მხარეც-მე პირადად თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, როცა გურიის დედაქალაქიდან ხალხი იძულებულია აჭარასა და იმერეთში დადიოდეს იმის გამო, რომ ვერ შევძელით და ვერ მივაღწიეთ ოზურგეთში იმას, რომ უნიჭიერესი და უჭკვიანესი ხალხის ნავსაყუდელში გვყავდეს „უბრალოდ-ნოტარიუსი...“

ვიცი, ეს პრობლემა ადგილზევე ვერ გადაწყდება, მაგრამ ისიც ვიცი, რომ, თუ „ადგილზევე“ და დროულად არ დავიწყეთ ამაზე ფიქრი და გადაწყვეტილებების მიღება, მაშინ არ გადაწყდება არასოდეს.

როგორც ბატონმა კახამ აღნიშნა, ისეთი შრომის უნარიანი და მომქმედი საკრებულო, როგორიც დღესაა, ოზურგეთს ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ყოლია. მე ახლოს არ ვიცნობ საკრებულოს შემადგენლობას, მაგრამ ვიცნობ ბატონ კახას და მჯერა მისი. გთხოვთ ყველას, ვისაც ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ხელი მიგიწვდებათ, ნუ ჩათვლით ამ საქმეს მეორე ხარისხოვნად და დროულად დაიწყეთ მისი მოგვარება...

ვინც შეძლებს და აღირსებს ოზურგეთს ნოტარიუსს იუსტიციის შენობაში, ის ჩვენს ქალაქს საშვილიშვილო საქმეს გაუკეთებს და ყოველი ოზურგეთელისგან უდიდესი პატივის-

# აუცილებელია პაციენტთა შთაგონება

ნარკომანია რომ ძალზე მავნებელი დაავადებაა, ამის თაობაზე საზოგადოება დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული, რადგანაც იგი იწვევს ორგანიზმის ქრონიკულ ინტოქსიკაციას, არტერიული წნევის დაწევას, მენსტრუალური ციკლის დარღვევებს, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, წონაში დაკლებას და მისი ხანგრძლივად მიღება ზიანს აყენებს არა მარტო ნარკომანსა და მისი ოჯახის წევრებს, არამედ მთელს საზოგადოებას, რადგანაც მომხმარებელი მიჰყავს საშიში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდეც კი.

თანამედროვე მედიცინას, სხვა მძიმე დაავადებებთან ერთად, ამ კუთხითაც აქვს გამომუშავებული მკურნალობის მეთოდი – ფსიქოთერაპია, რაც ითვალისწინებს პაციენტებს ჩაგონოს სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლის გადაუდებელ აუცილებლობას და ამზადებს მათ საიმისოდ, რათა აუცილებლად უარი თქვან აღნიშნულ მავნე ჩვევებზე.

მით უმეტეს, წარმატებულია ნარკომანთა მკურნალობის პროცესი მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში შექმნილ ფსიქოლოგიისა და ნარკოლოგიის ცენტრებში, სადაც პაციენტები, სამკურნალო პროცესების პარალელურად დაზღვეულნი არიან კუსტარულად დამზადებული იმ ნარკოტიკების საშიშროებისაგან, რომელთა რეგულარული მიღება მომხმარებელს ერთ-ორ წელიწადში კლავს ხოლმე.

ყოველივე ზემოთთქმულის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ გურიის სამხარეო ფსიქო-ნარკოლოგიური ცენტრი (ხელმძღვანელი გ. თავბერიძე), სადაც სულ რაღაც ორიოდე წელში, უკვე რამდენიმე ნარკომანის საბოლოოდ განკურნება მოხერხდა.

ამიტომაც, ჩვენი ავტორიტეტული გაზეთის მკითხველ საზოგადოებას ვთხოვთ კარგად გააცნობიერონ, თუ რაოდენ სასიკეთო საქმეს აკეთებს აღნიშნული სამედიცინო დაწესებულება და შთააგონონ მათთვის ნაცნობ ნარკომომხმარებლებს, აუცილებლად გახდნენ მისი პაციენტები, რაც საბოლოო ჯამში მათი ჯანსაღი ცხოვრების გზაზე დაყენების გარანტიას იძლევა.

**როლანდ თავაძე,**
გურიის ფსიქოლოგიური და
ნარკოლოგიური ცენტრის პრესმდივანი.

# „შვიდკაცა“ 55 წლისაა

ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლი „შვიდკაცა“ გამოჩენილმა ხელოვანმა, ლოტბარმა და უბადლო მოკრიმანჭულემ –მიხეილ შავიშვილმა 1957 წელს ჩამოაყალიბა.

მიხეილი მანამდე მიწვეული იყო საქართველოს პირველ „შვიდკაცაში,“ რომელიც ასევე გამოჩენილმა ხელოვანმა, განუმეორებელმა ჯანსუღ კახიძემ ჩამოაყალიბა. მიხეილი იქ მიიწვიეს, როგორც „კრიმანჭულის“ უბადლო შემსრულებელი. მაგრამ, როგორც თითონ ამბობდა, დასძლია შშობლიური რაიონის სიყვარულმა და ჩამოვიდა ოზურგეთში და ჩამოაყალიბა გურულების „შვიდკაცა,“ რომელმაც ძალიან მოკლე დროში, ხალხის სიყვარული დაიმსახურა.

მათი გამოჩენა სცენაზე დიდ ოვაციებს იწვევდა, როგორც კარგი შემსრულებელნი და აგრეთვე ფიზიკური შეხედულებით გამორჩეული. აი, „შვიდკაცას“ პირველი შემადგენლობა: მიხეილ შავიშვილი, ამირან ბაბილოძე, აკაკი ბეშიტაიშვილი, ვაჟა რუსიეშვილი, გური ურუშაძე, ანტონ თავამაიშვილი, ნოდარ ქარცივაძე, ვალერიან ქავთარაძე. შესანიშნავად ფორმირებული, თეთრ ჩოხებში ჩაცმული ბიჭები სიამოვნებას გვრიდა ადგილობრივ თუ რესპუბლიკის სხვა კუთხეების მაყურებელს.

ბ-მა მიხეილმა შესანიშნავად იცოდა, ანსამბლს როგორი წევრი გამოადგებოდა და სწორედ მის მიერ შერჩეული ეს ახალგაზრდები ძალიან დიდხანს ამშვენებდა საქართველოს სხვადასხვა სცენას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისეთი სახელოვანი ანსამბლი, როგორც მაშინ „შვიდკაცა“იყო, არ იყო არც ერთ კუთხეში. მიხეილმა რეპერტუარიც ისეთი შეარჩია, რომელსაც მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა. რა თქმა უნდა, მეტი წილი გურულ სიმღერებს დაუთმო, მაგრამ მან ანსამბლს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები შეასწავლა.

ანსამბლი თანდათან იხვეწებოდა და უფრო და უფრო საყვარელი გახდა მაყურებლისათვის.

იგი მრავალგზის მონაწილეა როგორც რესპუბლიკური, ასევე, საკავშირო ფესტივალებისა, საიდანაც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მრავაჯერ მიიწვიეს სატელევიზიო გადაცემებში, რაც მაშინ ადვილი მისაწვდომი არ იყო.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ოზურგეთის ანსამბლ „შვიდკაცა“-ს საპატიო, სახალხო ანსამბლის წოდება მიანიჭა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო თაობათა ცვლა. სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგი წავიდა ანსამბლიდან და მოვიდნენ ახალი წევრები: თეიმურაზ ქილიფთარი, ალექსანდრე გოგავა, ზაურ ბოლქვაძე. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია ანსამბლმა უმაღლეს საფეხურს. ანსამბლი შეივსო შესანიშნავი მომღერლებით და გამდიდრდა რეპერტუარიც. დროთა განმავლობაში ანსამბლის შემადგენლობა კვლავ იცვლება. ესენი არიან: ბადრი ინგოროყვა, ტრისტან სიხარულიძე, ილო ჯინჭარაძე, გელა ცელაძე, ილო ინწკირველი, ჰამლეტ დოლიძე, რეზო მახარაძე, ავთანდილ ნაცვალაძე, თეიმურაზ გადახბაძე, სერგო ქარჩილაძე, ლევან ნინიძე, ამირან გოლიაძე, ლევან გოლიაძე, მერაბ კალანდაძე, ზაურ ჯანიაშვილი, მერაბ მგელაძე, გელა ლომჯარია, ზურაბ ერქომაიშვილი, ანზორ ტულუში, ზაზა სიხარულიძე, ლევან ჩხაიძე, თემურ ნინიძე, (ბოდიშს ვუხდი, თუ ვინმე გამორჩა). ესენი ანსამბლში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ. ანსამბლის შემადგენლობა ბოლოს განისაზღვრა 14 კაცით. ანსამბლის უხუცესი წევრების გვერდით მიშამ ახალგაზრდები დააყენა, რათა უფროსებისგან ესწავლათ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები.

1970 წელს „შვიდკაცა“ საგასტროლოდ მიიწვიეს იტალიაში, კერძოდ, სიცილიაში, სადაც მან 20 კონცერტი გამართა. 1972 წელს კი ერთი წლით მიგვიწვიეს ინგლისში.

ამის შემდეგ იწყება „შვიდკაცას“ ხანგრძლივი ტურნე უცხოეთში: ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია, საბერძნეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი, გერმანია და სხვ. ბ-ნი მიხეილი ამ კონცერტებში ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა.

რაიონის ხელმძღვანელობამ საგასტროლოდ მოსამზადებლად ანსამბლის ხელმძღვანელობა მე დამავალეს. მიხეილ შავიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1999 წ.) „შვიდკაცას“ ხელმძღვანელობა ოფიციალურად დამეკისრა და მას დღემდე ვაგრძელებ.

ანსამბლს ძველ რეპერტუართან ერთად შესწავლილი აქვს ახალი, თანამედროვე, ქალაქური, კომპოზიტორების და სხვა კუთხის ხალხური სიმღერები და საგალობლები. ანსამბლს ლოტბარობას უწევს ახალგაზრდა ხელოვანი ამირან გოლიაძე.

ამჟამად „შვიდკაცას“ შემადგენლობა ასეთია: ტრისტან სიხარულიძე, ამირან გოლიაძე, რეზო მახარაძე, ილია ინწკირველი, ლევან ნინიძე, გელა ლომჯარია, კობა მეფარიშვილი, ალექსანდრე ბურჭულაძე, კობა მელუა, თენგიზ გოლიაძე, დათო ქავჟარაძე, მერაბ კალანდაძე, ავთანდილ სურგულაძე.

ანსამბლმა გაიარა სერთიფიცირება და დაიმსახურა ჟიურის უმაღლესი შეფასება.

„შვიდკაცა“ კვლავ აგრძელებს ძველ ტრადიციებს და კვლავაც იქნება ქართველი მაყურებლის ღირსეული ანსამბლი.

ანსამბლის წევრები ქედს იხრიან გარდაცვლილი წევრების წინაშე, რომლებმაც ღირსეულად ატარეს „შვიდკაცას“ ჩოხა. ერთ-ერთი მათგანი, ზურაბ (თეიმურაზ) გადახბაძე ბრწყინვალე მოქალაქე იყო, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა თავისი კეთილი საქციელით. მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ გასტროლზე ანსამბლის ერთი წევრი შეგვიმცირეს, ვიყავით თერთმეტი და უნდა წავსულიყავით ათი. ეს მოხდა მაშინ, როცა თერთმეტივე მზადყოფნაში ვიყავით. შეექმნა უხერხული სიტუაცია, ვერავინ ვერ იღებს ხმას. მიხეილ შავიშვილი ყველაზე უფრო იყო დაბნეული, – რა უნდა ვქნაო, – იძახდა. ამ დროს გაისმა ზურიკოს ხმა: – ნუ ნერვიულობთ, მე ყველაზე ბოლოს ვარ მოსული ანსამბლში და მე დავრჩებიო. აიღო ჩემოდანი, გზა დაგვილოცა და წავიდა.

იტალიაში ყოფნის დროს საღდგომო წინა დღეები იყო, პაპი პავლე VI თავის რეზიდენციიდან ხალხს ლოცვით და ქადაგებით მოუწოდებდა. ეს ხდებოდა ვატიკანის უზარმაზარ მოედანზე. ჩვენ გაგვაფრთხილეს, დღის 12 საათზე პაპი დადგება სპეციალურად შერჩეულ ფანჯარასთან და ყველა მუხლმოდრეკით უნდა შევხვდეთო. რა თქმა უნდა ასეც გავაკეთეთ. უცებ თეზიკო ქილიფთარმა წამოიწყო „შენ ხარ ვენახი“, ჩვენ ავყევით და მთელი მოედანი შემობრუნდა ჩვენსკენ. შემდეგ წავიდა გამოკითხვები – ვინ ვიყავით, საიდან, რას ვაკეთებდით და ა. შ. ჩვენც სიამაყით ვპასუხობდით, რომ ვიყავით ქართველები და ვატარებდით კონცერტებს.

**ტრისტან სიხარულიძე**

# ამირან მამულაიშვილი 80 წლისაა



სოფელი ბაილეთი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია გუიაში, ლამაზი არა მარტო მისი მომხიბვლელი ბუნებით, მთა-ბარითა და მშვენიერი ველ-მინდვრებით, არამედ შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებითაც. დიდი ტრადიციების მქონე ამ სოფელში, სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით ცნობილ ქალბატონ ვერა და ბატონ ბიჭიკო მამულაიშვილების ოჯახში, 1932 წელს დაიბადა ამირან მამულაიშვილი. ჩვენ 1949 წელს ერთად დავამთავრეთ ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა (იმხანად ვაჟთა). მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ იგი სიკეთით, სითბოთი სავსე, მართალი, კრისტალურად სუფთა პიროვნებაა, პატიოსნების განსახიერება, რომელიც 50 წელი მართლაც უანგაროდ, მუხლჩაუხრელად ემსახურა სოფელს, თავის ხალხს, სამშობლოს.

ამირანს ამ დღეებში 80 წელი შეუსრულდა და ცოტად თუ ბევრად მინდა აღვნიშნო მის მიერ ლამაზად განვლილი გზის შესახებ. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე უნარიანად ხელმძღვანელობდა მეჩაიეთა ახალგაზრდულ რგოლს, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად უკრაინიდან ევაკუირებული ახალგაზრდებიც იყვნენ გაერთიანებული. იგი მაშინ დაჯილდოვდა მედლით „1941-45 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისთვის“ ჯილდო შემდგომშიც მრავალი დაიმსახურა, მათ შორის – ღირსების მედალი. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მთლიანად ჩაება შრომით საქმიანობაში. 1950 წლიდან 1954 წლამდე ხელმძღვანელობდა სოფლის ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც ცნობილი იყო მთელს რესპუბლიკაში, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული მაშინდელ ახალგაზრდულ რესპუბლიკურ გაზეთებში „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „მალადოი სტალინელში“. 1954 წელს გაგზავნილი იქნა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ საგურამოს სამეურნეო სამწლიან რესპუბლიკურ სკოლაში, რომელიც წარჩინებით წითელ დიპლომზე დაამთავრა. 1962 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი.

1956 წელს ამირან მამულაიშვილს, სრულიად ახალგაზრდას, 23 წლისას ირჩევენ ბაილეთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად. მისი საქმიანობის შესახებ წერდა გაზეთი „კომუნისტი.“ 1960-76 წლებში ერთდროულად მუშაობდა უფროს აგრონომად და პროფკომიტეტის თავმჯდომარედ. მან სოფლის მეურნეობათა პროფკავშირი გაამდიდრა მუშაობის მისეული ხერხებითა და მეთოდებით. სოფლის პროფ ორგანიზაციებს შორის რაიონში ერთადერთმა დააწესა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა სახელობის პრიზები, რომლებიც სამეურნეო შედეგების შეჯამებისას გადაეცათ შესაბამის დარგებში გამარჯვებულებს. 1976-94 წლებში მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ. დიდხანს ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობასაც. 50 წელი იმუშავა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ყოველთვის მაღალ დონეზე აფასებდნენ სოფელში. მიუხედავად ამისა, მერწმუნეთ, რომ არავითარი კარიერული მისწრაფებები არ ამოძრავებდა. მადლიერმა თანასოფლელებმა დაბადებიდან 70 და მუშაობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს.

ამირან მამულაიშვილი თავის დროზე თანამშრომლობდა გაზეთებში „კომუნისტი,“ „ახალგაზრდა კომუნისტი,“„სოფლის ცხოვრება.“ 1950 წლიდან გაზეთ „ლენინის დროშის,“შემდეგ კი „ალიონის“კორესპონდენტია და გაზეთს უხვად აწვდიდა კვალიფიციურ მასალებს სოფ. ბაილეთის შესახებ.

მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა ისეთ ცნობილ ჟურნალისტებთან, როგორებიც იყვნენ: აფთონ გურგენიძე, ბეგლარ ჩხაიძე, მამია კილაძე, ჭიჭიკო ხომერიკი, თამაზ სალუქვაძე, გურამ კუნჭულია, ნუგზარ ქინქლაძე, ვალიდა ფიფაიშვილი...აგრეთვე, როგორებიც არიან: ეთერ ქადეიშვილი, ნინო ნიკოლაიშვილი, თემურ მარშანიშვილი, ნუგზარ ასათიანი.

ამირან მამულაიშვილის ცხოვრებას დიდი ტკივილიც ახლდა. ახალგაზრდულ ასაკში გამოაკლდა ერთგული მეუღლე, სიკეთითა და სითბოთ სავსე, ბრწყინვალე დიასახლისი, სოფლის ნამდვილი კოლორიტი ქალბატონი ლილი. ასევე ერთადერთი ვაჟის მეუღლე, მაღალპროფესიონალი პედაგოგი ქალბატონი თამილა.

ამაყობს კარგი შვილებით. უფროსი ქალიშვილი ნანა–ბაკურიანში ცხოვრობს. მუშაობს ერთ-ერთ სანატორიუმში ექიმის თანაშემწედ. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე – თამაზ მოსეშვილი. მათმა შვილებმა ნინომ და თამარმა უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს და ქ. თბილისში მუშაობენ, ხოლო უმცროსი ვანო–სტუდენტია. მომდევნო ნონა და სიძე რეზო ჩიკაშუა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არიან ამჟამად დაკავებული არიან საოჯახო ბიზნესით. მათი ერთადერთი ვაჟი ბექა–მომღერალი, ამავე პროფილის II კურსის სტუდენტია.

უმცროსი ვაჟი ნიკო (სპარტაკი) წლების მანძილზე არჩეული იყო სოფ. ბაილეთის გამგებლად; ამჟამად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია სოფ. ბაილეთში. ჰყავს ერთი ვაჟი –ბაბუას სეხნია ამირანი, რომელიც სოფ. ბაილეთის საჯარო სკოლის VIII კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

ბატონი ამირანი, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობისათვის მაგალითის მიმცემი იყო, დაჯილდოებულია მუსიკალური ნიჭით, არის კარგი თამადა. სკოლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული შემოქმედების ოლიმპიადებში. მისი ლექსები პერიოდულად იბეჭდება გაზეთ „ალიონის“ფურცლებზე. გამოცემული აქვს ლექსების კრებული. არის სოფლის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, კარგი მეურნე. ლამაზი სანახავია მისი კარმიდამო ვაზის სხვადასხვა ჯიშით და ხეხილით დამშვენებული.

როცა თვალს ვავლებთ ამირან მამულაიშვილის მიერ განვლილ ცხოვრების გზას, მახსენდება ცნობილი ქართველი პოეტის, მამია გურიელის სიტყვები:

„და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მუდამ გახსოვდეს,
თუკი გსურს გახდე ადამიანი.“

ვულოცავთ ამაგდარ კაცს დაბადებიდან 80 წლისთავს.

**არსენ კეჟაყმაძე,**
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

# მემორიალურ ტურნირზე ჩოგბურთში

18 ივლისს, ქალაქ ბათუმში დაიწყო ნ. ჟორდანიას და ვ. ასათიანის სახელობის მემორიალური ტურნირი ჩოგბურთში, რომელშიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩოგბურთის სკოლამ მიიღო მონაწილეობა. სკოლის აღსაზრდელებმა თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში წარმატებით იასპარეზეს. უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირს უმაღლესი კატეგორია მიენიჭა რადგან მასში ექვსი ქვეყნის (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი საბერძნეთი, აშშ, ბულგარეთი) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ირაკლი კაკაძემ და ემზარ გაბუნიამ 16 წლამდელთა შორის მე-5 მე-6 ადგილები დაიკავეს 16 მონაწილეს შორის.

უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის თანადგომა და მხარდაჭერა

ბათუმის საერთაშორისო ტურნირიდან ჩამოსული სპორტსმენები მეორე დღესვე გაემგზავრენ დაბა გრიგოლეთში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრზე. ჩვენი სპორტსმენები ამ შეჯიბრს კარგ სპორტულ ფორმაში შეხვდნენ. უნდა აღინიშნოს ირაკლი კაკაძის წარმატება რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა 8 მონაწილეს შორის.

ჩოგბურთის სკოლა აგრძელებს დაგეგმილ ღონისძებათა კალენდარის განხორციელებას. უახლოეს დღეებში დაიწყება ჟანი კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მონაწილეობას იღებს ოცამდე მოყვარული სპორტსმენი.

სკოლა დიდ მადლობას უხდის საკრებულოს თავმჯდომარეს დახმარებისა და ყურადღებისათვის.

# ბავშთა ფესტივალზე რაგბში

28 ივნისს, ზვანის სტადიონზე გაიმართა 1998-1999 წლებში დაბადებულ მორაგბეთა ფესტივალი, სადაც 11 გუნდი მონაწილეობდა.

ოზურგეთის „არწივებმა“ ამ ფესტივალზე ორი გუნდი გამოიყვანეს და ორ-ორი მოგება დააგროვეს.

3-4 ივლისს კი ქ. ფოთში ჩატარდა „კოლხეთის თასის“გათამაშება შვიდკაცა რაგბიში 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც „ბ“ლიგის 10 გუნდი მონაწილეობდა. ამ ტურნირზე ოზურგეთლება 4 გამარჯვება მოიპოვეს და V ადგილზე გავიდნენ.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა ზვიად უნგიაძემ გვითხრა, ამ ტურნირზე ბიჭებმა უპირველესად დიდი გამოცდილება მიიღეს. ძალიან კარგად ითამაშეს ენვერ ჭკუასელმა, ბორის გულბიანმა, მამუკა ჩანჩიბაძემ, ლაშა დონაძემ, თორნიკე ვასაძემ, დათო ლომჯარიამ, ვასილ ფირცხალაიშვილმა. ტურნირის ორგანიზატორებმა ახალბედა „არწივებს“ კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

„არწივებმა“ იმედი არ გაუცრუეს სპეციალისტებს და კარგად იასპარეზეს ქ. ქობულეთის ღია პირველობაზე, სადაც მათ გარდა ქუთაისის 2, ფოთის, შუახევის და ქობულეთის მორაგბეები გამოდიოდნენ.

ოზურგეთლებმა ნახევარფინალში დათმეს შეხვედრა მომავალ ჩემპიონებთან, შუახევის გუნდთან.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ოზურგეთლებმა ქუთაისელ თანატოლებს სძლიეს და III ადგილი დაიკავეს.

ზვიად უნგიაძემ კვლავ მადლობა გამოთქვა ლუდის ქარხნის დირექტორის ამირან როყვას, ლადო სურგულაძის, სს „იმედის“დირექტორ ოლეგ გობრონიძის, შპს „ვასაძის პურის“დირექტორ მერაბ ვასაძის, გელა შაფაქიძის და გოჩა კვირჩილაძის მიმართ. ეს ადამიანები

# საერთაშორისო ტურნირი პლაჟის ფრენბურთში

ქ. თბილისში გაიმართა დავით ქართველიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო ტურნირი საპლაჟო ფრენბურთში, სახელწოდებით – „ქართველა 2012.“

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 12-მა გუნდმა საქართველოდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან. მიწვეულთა შორის იყო გურიის წყვილიც (ჩვენი გუნდი წელს გადავიდა უმაღლეს ლიგაში).

გურიის გუნდი წელს პირველად მონაწილეობდა ასეთი მაღალი დონის საპლაჟო ტურნირზე. მართალია, წყვილი ამჯერად არ გასულა საპრიზო ადგილზე, მაგრამ მიიღო დიდი გამოცდილება. იმედია, მომავალში უკეთეს შედეგს აჩვენებს. (მწვრთნელი სერგო რობაქიძე).

# ვეტერანთა ტურნირზე

ქ. ლანჩხუთში გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი იმედო დუნდუას თასზე, რომელშიც ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ქობულეთის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის ვეტერანი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

ამ საინტერესო ტურნირზე კარგად გამოვიდნენ არაერთ ტურნირში გამარჯვებული ოზურგეთის „ბერმუხას“ ვეტერანები, რომლებმაც ხუთივე შეხვედრა მოიგეს და ტურნირის მთავარ ჯილდოს – იმედო დუნდუას თასს დაეუფლნენ.

„ბერმუხას“ თავდამსხმელმა ჯონი კალანდაძემ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის და საუკეთესო გოლის ავტორის პრიზები დაიმსახურა.

ამ დღეებში კი „ბერმუხამ“ ქ. ბათუმში, გენო მენაბდის ხსოვნის ტრადიციულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მათ პირველ მატჩში ბათუმის „დინამოს“ ვეტერანები დაამარცხეს, ფინალში კი აჭარის ნაკრებთან დამარცხდნენ და II ადგილი დაიკავეს.

# ექიმი გვირჩევს

მინდა გესაუბროთ დაავადებაზე, – რომელსაც გუნჯ ეპიდემიას უწოდებენ.

ოსტეოპოროზი ადამიანის ჩონჩხის ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა. ასაკის მატებასთან ერთად ძვლის მასა კლებულობს და მისი სტრუქტურა იცვლება. შედეგად ძვალი ხდება მტვრევადი და მოტეხილობების რისკი იზრდება. პაციენტებმა, ზამთარში, ადრე გაზაფხულზე, გვიან შემოდგომაზე უნდა მოერიდნონ ყინვიან ამინდში გარეთ გამოსვლას და მოყინულ ზედაპირზე სიარულს, რადგან დაცემის შემთხვევაში ხდება ბარძაყის ყელის მოტეხილობა, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვება. რადგან ოსტეოპოროზული ძვლის შეხორცება ძალიან დუნედ მიდის და განმეორებითი მოტეხილობის რისკი კიდევ უფრო მაღალია.

ოსტეოპოროზი ძირითადად ქალთა დაავადებაა. 40 წლის ასაკამდე მყოფ 3 ქალიდან ერთს, პოსტკლიმაქსურ პერიოდში ოსტეოპოროზი ემართება. 75 წლის ასაკში კი – ოსტეოპოროზი ქალთა ნახევარზე მეტს აქვს. ოსტეოპოროზის ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ იგი მიმდინარეობს უსიმპტომოდ და შეიძლება დადგინდეს შემთხვევითი გასინჯვის, გამოკვლევის შემთხვევაში. ამიტომაა, რომ ამ დაავადებას გუნჯ ეპიდემიას უწოდებენ.

გამომწვევი რისკ-ფაქტორებია: ა) ხანდაზმული ასაკი; ბ) საკვერცხეების ამოღება სხვადასხვა მიზეზის გამო; გ) გლუკორტიკოსტეროიდების (ჰორმონების) ხანგრძლივი მიღება; დ) უმოძრაობა; ე) ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღება; ვ) ყავის ჭარბი რაოდენობით მიღება; ზ) თამბაქო და კალციუმით ღარიბი დიეტა.

აუცილებელია რძისა და რძის პროდუქტების (ხაჭო, იოგურტი, მაწონი); ასევე ხილის, ბოსტნეულის, მწვანილის, ჩირის მიღება, ვინაიდან მათში ბევრი მიკროელემენტია, მათ შორის კალციუმი.

ოსტეოპოროზის განვითარების ალბათობა მეტია ღია ფერის კანის მქონე, გამხდარ ქალბატონებში, რომელთაც არ უმშობიარებიათ და ხშირად იცავენ დიეტას; ეწევიან სიგარეტს, ეტანებიან ყავას და რაიმე ქრონიკული დაავადება აქვთ გადატანილი (ბრონქიალური ასთმა, თირკმლის, ღვიძლის დაავადებები და სხვა).

ოსტეოპოროზის პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ აქტივობას.

**ავთანდილ ჩხიკვიშვილი,**
მედიცინის აკადემიური დოქტორი.

# ნატო ქართველიშვილის გახსენება

გასაოცარი ენერგიითა და იმედიანი ცხოვრებით განვლე ხუთი ათეული წელი. ცხოვრების ყველა სირთულეს და ტკივილს თავად უმკლავდებოდი, სიხარულს ყველას უზიარებდი. უკვე ორმოცი დღეა მარადიულ სოფელს ჩაემკვიდრე, ჩვენგან წახვედი და ყველა საშენო სიხარული გაიყოლე. ცრემლსა და დარდში დატოვე მოხუცი მშობლები, ვეღარ ახერხებენ მოულოდნელად თავსდატეხილ უბედურებასთან გამკლავებას. დედის დაკარგვა ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებიათ ანისა და პაატას. თითქოს კვლავ ელოდებიან შენი ალერსიანი ხმის გაგონებას, შენ ხომ მათთვის შეუძლებელს აკეთებდი. დარდისგან ხმაგამშრალნი არიან შენი ძმები. მოსიყვარულე, ყურადღებიანი დაიკო, ახლა ტკივილიან მონატრებად იქეცი. მაშინ ვერ ვფიქრობდით, უკურნებელი სენი ასე უეცრად შეგიწირავდა, გვეგონა შენც ასევე ფიქრობდი. შენი იმედიანი განწყობა გვმატებდა ძალას. ახლა ვხვდებით, ექიმს, რომელსაც არაერთი ღამე უთენებია სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად და ამ ღამეთა თევაშიც უდიდესი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვებია, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, სიკვდილ-სიცოცხლის გზასაყართან მიახლოება. უბრალოდ, იმთავითვე ვერ გაიმეტე შენი ოჯახი, ახლობლები სასოწარკვეთისთვის. ტაქტიანად გამოეთხოვე ძმისშვილებს, რძლებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც გულით გიყვარდა, შენეული სითბო ჩამოურიგე. ანისაც თითქოს წინასწარ მოუოხე გული. როცა გაცილებით ადრე სთხოვე, რაიმე რომ დამემართოს, გული არ გაიტეხო, სალამური დაუკარი, მე მაშინვე გავიგონებო. ამის შესახებ არავინ ვიცოდით, თურმე გაცილებით ადრე გრძნობდი სიცოცხლის დასასრულს. შენთან გამოთხოვების უმძიმეს წუთებში სალამურის თბილი მელოდია მოეფინა შენს ცხედარს. ანი დაგტიროდა და გეფერებოდა. გთხოვდა შეგესრულებინა დანაბარები. ვეღარ შეუსრულე, რადგან დედის სიცოცხლე უფალს მიკედლებოდა უკვე, მაგრამ ცხოვრების გასავლელი გზა დაანახე ჯერ კიდევ პატარა შვილებს. რომელთაც უდედობის უდიდესი ტკივილი ელოდებათ, მაგრამ შენს კვალობაზედ იმ გულით უნდა იარონ, შენ რომ ათბობდი. იმ გრძნობებით გაიხარონ, შენ რომ ეთაყვანებოდი.

უფალმა მოგიოხოს ცხოვრებისგან საკმაოდ დაღლილო ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო.

**შენი ოჯახი.**

# მეგობარს, რომელიც აღარ გვყავს

ცხოვრების საუკეთესო წლები, რასაც ბავშვობა ჰქვია, ერთად გავატარეთ, ერთმანეთს ვზრდიდით და ერთმანეთით ვიზრდებოდით. ნატო ქართველიშვილი გამორჩეული იყო არა მარტო ჩვენს კლასში, სკოლაშიც. კარგი თანაკლასელი, მეგობარი, საყვარელი მოსწავლე. სიკეთით აღსავსე, შრომისმოყვარე, მიზანდასახული. ამიტომაც შესძლო მომავალ პროფესიად ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი დარგი – ექიმობა აერჩია. საუკეთესო ექიმი-პედიატრი იყო. როგორც სიყვარულით ეძახდნენ ნატო ექიმი. ხშირად სხვათა შვილების იმედი და მშველელი, მათ მზრუნველობაში დაღლილი, საკუთარ შვილებზე გულგადაყოლილი დედა, ჩვენი ურთიერთობების ყველა კარგი საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო, დადებითი ენერგიით გვავსებდა ყველას. ნატოსაგან მიჩვეული ვიყავით სასიამოვნო შეხვედრებს. ჩვენგან წავიდა და უდიდესი ტკივილის განცდა დაგვიტოვა. დაგვიტოვა სევდიანი მოგონებები და სახე ნათელი ადამიანისა, რომელმაც მოყვასის სიყვარულით იცხოვრა ამ ქვეყნად.

უფალს ვავედრებთ მეგობარს, რომელიც უკვე აღარა გვყავს!

**თანაკლასელები**

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჯემალ ჭელიძის ოჯახს, მეუღლისა და დედის **ნათელა თალაკვაძის** გარდაცვალების გამო.


# იყიდება

**იყიდება მაცივრები („ლედნიკები“).**

**დარეკეთ: (599) 17 75 03.**



რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

*რედაქტორი* **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru